ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი კუჭავას
მუნიციპლიტეტის მერის დავით შარაშიძის

# განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 10 იანვრის N GOV 9 23 00000332 სამართლებრივი დასკვნის შესაბამისად, წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის #3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ან/და მათ მიერ დაფუძნებული/მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების მოხელეთა თანამდებობებისათვის თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ამ კანონის №2 დანართის №2 ცხრილით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლით და აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში. ამავე კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობების თანამდებობრივი სარგოების გამოთვლის მიზნისთვის, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განისაზღვრება საბაზო თანამდებობრივი სარგო ნომინალურ გამოხატულებაში. ,,საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულთა საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 1 210 ლარის ოდენობით.

ზემოღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, უნდა მოხდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის #3 დადგენილების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების გადაანგარიშება. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები განსაზღვრულია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის დანართი N2-ის ცხრილი N2-ის მე-5 კატეგორიის სახელფასო კოეფიციენტების საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით და სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში განხორციელებული აღნიშნული ცვლილება არ არის დაკავშირებული 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით ხარჯებთნ.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს პროექტის ავტორი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

*პროექტი*

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის #3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის #3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის #3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: ბექა შენგელიამ

**პროექტი**

# დადგენილება

**,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის #3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის #3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/01/2022, ს/კ 010250000.35.114.016462) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (თან ერთვის).

**მუხლი 2.**
დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

პროექტი მოამზადა: ბექა შენგელიამ

დანართი

| № | თანამდებობის დასახელება | რანგი | საშტატო ერთეული | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|---|---|
| 1 | **ხელმძღვანელობა** | | **3** | |
| 1.1 | მუნიციპალიტეტის მერი | პოლიტიკური თანამდებობის პირი | 1 | 5445 |
| 1.2 | მერის პირველი მოადგილე | პოლიტიკური თანამდებობის პირი | 1 | 4235 |
| 1.3 | მერის მოადგილე | პოლიტიკური თანამდებობის პირი | 1 | 3870 |
| 2 | **ადმინისტრაციული სამსახური** | | **18** | |
| 2.1 | სამსახურის უფროსი-საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I რანგი | 1 | 2420 |
| 2.2 | **საქმისწარმოებისა და საინფორმაციო მომსახურების განყოფილება** | | **4** | |
| 2.2.1 | განყოფილების უფროსი - საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 2.2.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების საკითხებში | III რანგი | 3 | 1331 |
| 2.3 | **ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება** | | **3** | |
| 2.3.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 2.3.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კადრების აღრიცხვის და რეკრუტირების საკითხებში | III რანგი | 2 | 1331 |
| 2.4 | **იურიდიული განყოფილება** | | **3** | |
| 2.4.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 2.4.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 2.4.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.5 | **საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება** | | **2** | |
| 2.5.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 2.5.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 2.6 | **ანალიტიკური განყოფილება** | | **2** | |
| 2.6.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 2.6.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 2.7 | **ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილება** | | **3** | |
| 2.7.1 | განყოფილების უფროსი- საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 2.7.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში | III რანგი | 2 | 1331 |
| 3 | **საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური** | | **11** | |
| 3.1 | სამსახურის უფროსი-საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I რანგი | 1 | 2420 |
| 3.2 | **საბიუჯეტო განყოფილება** | | **4** | |
| 3.2.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 3.2.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის საკითხებში | III რანგი | 2 | 1331 |
| 3.2.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 3.3 | **ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება** | | **6** | |
| 3.3.1 | განყოფილების უფროსი- საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.3.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სახაზინო მომსახურების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 3.3.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 3.3.4 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 3.3.5 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ხაზინასთან ურთიერთობის საკითხებში | III რანგი | 2 | 1331 |
| 4 | **მუნიციპალური შესყიდვების სამსახური** | | **5** | |
| 4.1 | სამსახურის უფროსი- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I რანგი | 1 | 2420 |
| 4.1.1 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში | III რანგი | 3 | 1331 |
| 4.1.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბაზრის კვლევისა და გამარტივებული შესყიდვების უზრუნველყოფის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 5 | **ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური** | | **12** | |
| 5.1 | სამსახურის უფროსი- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I რანგი | 1 | 2420 |
| 5.2 | **ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილება** | | **4** | |
| 5.2.1 | განყოფილების უფროსი- საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 5.2.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკური დაგეგმარების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 5.2.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ეკონომიკური განვითარების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 5.2.4 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტურიზმის განვითარების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 5.3 | **ქონების მართვის განყოფილება** | | **2** | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.3.1 | განყოფილების უფროსი- საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 5.3.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 5.4 | **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილება** | | **2** | |
| 5.4.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 5.4.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 5.5 | **საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილება** | | **3** | |
| 5.5.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 5.5.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საინვესტიციო ღონისძიებების დაგეგმვის, განხორციელებისა და ანალიზის საკითხებში | III რანგი | 2 | 1331 |
| 6 | **არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური** | | **7** | |
| 6.1 | სამსახურის უფროსი- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I რანგი | 1 | 2420 |
| 6.2 | **არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილება** | | 3 | |
| 6.2.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 6.2.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 6.2.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 6.3 | **ინფრასტრუქტურის განყოფილება** | | 3 | |
| 6.3.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 6.3.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში | III რანგი | 2 | 1331 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 | **ზედამხედველობის სამსახური** | | **6** | |
| 7.1 | სამსახურის უფროსი- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I რანგი | 1 | 2420 |
| 7.1.1 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იერსახისა და დასუფთავების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 7.2 | **მშენებლობის სანებართვო პირობების მონიტორინგის განყოფილება** | | 4 | |
| 7.2.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 7.2.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მშენებლობის სანებართვო პირობების მონიტორინგის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 7.2.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გარემოს დაცვის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 7.2.4 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკურორტო ადგილებში მშენებლობის სანებართვო პირობების მონიტორინგის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 8 | **სოციალური და ჯანდაცვის სამსახური** | | **10** | |
| 8.1 | სამსახურის უფროსი- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I რანგი | 1 | 2420 |
| 8.1.1 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მძიმე ეკონომიურ პირობებში, სტიქიით დაზარალებულთა და შშმ პირთა მომსახურების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 8.2 | **სოციალურ საკითხთა განყოფილება** | | **5** | |
| 8.2.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 8.2.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შრომის, სოციალურ, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 8.2.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანდაცვისა და ვეტერანთა მომსახურების საკითხებში | III რანგი | 2 | 1331 |
| 8.2.4 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი | III რანგი | 1 | 1331 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8.3 | **ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება** | | **3** | |
| 8.3.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 8.3.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ბავშვის სოციალური მუშაკი | III რანგი | 1 | 1331 |
| 8.3.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ინსპექტორი | III რანგი | 1 | 1331 |
| 9 | **განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური** | | **5** | |
| 9.1 | სამსახურის უფროსი- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I რანგი | 1 | 2420 |
| 9.1.1 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში | III რანგი | 2 | 1331 |
| 9.1.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 9.1.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 10 | **შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური** | | **4** | |
| 10.1 | სამსახურის უფროსი-საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I რანგი | 1 | 2420 |
| 10.1.1 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ინსპექტირებისა და შიდა ფინანსური აუდიტის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 10.2 | **შიდა აუდიტის განყოფილება** | | 1 | |
| 10.2.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 10.2.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მონიტორინგისა და შიდა კონტროლის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 11 | **სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური** | | **9** | |
| 11.1 | სამსახურის უფროსი- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | I რანგი | 1 | 2420 |
| 11.1.1 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმიწარმოებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11.2 | **წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილება** | | **4** | |
| 11.2.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 11.2.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის საკითხებში | III რანგი | 2 | 1331 |
| 11.2.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მიწერისა და კორესპონდენციებზე მუშაობის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 11.3 | **რეზერვისტთა აღრიცხვისა და მობილიზაციის განყოფილება** | | **3** | |
| 11.3.1 | განყოფილების უფროსი-საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი | II რანგი | 1 | 1936 |
| 11.3.2 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი რეზერვის სერჟანტების, მიჩმანების და რიგითების აღრიცხვის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 11.3.3 | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი რეზერვის ოფიცერთა აღრიცხვის საკითხებში | III რანგი | 1 | 1331 |
| 12 | **ადმინისტრაციული ხელშეკრულება** | | | |
| 12.1 | ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი -მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში | 24 | | 1331 |
| 12.2 | ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის წარმომადგენლის თანაშემწე ადმინისტრაციულ ერთეულში | 40 | | 880 |
| **სულ** | | 64 | 90 | |

# დ ა ს კ ვ ნ ა

**„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის #3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის შესახებ**

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებთან, რომელთა თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცება, მერის თანამდებობრივი სარგოს და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტთან, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტთან, რომელთა თანახმადაც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) თანამდებობრივი სარგოები აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ან/და მათ მიერ დაფუძნებული/მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების მოხელეთა თანამდებობებისათვის თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ამ კანონის №2 დანართის №2 ცხრილით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე ნამრავლით და აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და
ექსპერტიზის საკითხებში: ნ. ვაჩეიშვილი ნინო ვაჩეიშვილი